№ 01-01/40 „01“ ~~ივლისი~~ 2017 წ.

ბრძანება

„კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ„ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2016 წლის 30 დეკემბრის № 01-01/41 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, სასწავლო უნივერსიტეტის „შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ „ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2016 წლის 30 დეკემბრის № 01-01/41 ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (ჯგუფის ხელმძღვანელი).

ბ) ნათია წიფურია-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

გ) თამრიკო ლუკავა - კარიერის განვითარების ცენტრის უფროსი.

დ) ნათია კუტალია - პროფესიული პროგრამების საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი

3. დაევალოს თამრიკო ლუკავას (კარიერის განვითარების ცენტრის უფროსი) და ნათია კუტალიას (პროფესიული პროგრამების საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი) კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარება (შეფასებების შეგროვება) შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შემუშავებული კითხვარების მიხედვით.
4. დაევალოს ბელა მოსიას (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი), ნათია წიფურია (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი) გამოკითხვის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება (კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება)) აკადემიური საბჭოსთვის წარსადგენად.
5. დაევალოს კანცელარიის უფროსს (ე. ჭანიას), ბრძანება გადასცეს დაინტერესებულ პირებს.
6. ბძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ზაალ ქორთუას (ადმინისტრაციის ხელმძღვანელს).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე ქ.თბილისი, უზნაძის ქ.№52

თეონა ხუფენია

რექტორი